


# ჩემი საქართველო



**№61, ოქტომბერი, 2019**

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

პროფესორი

რექტორის ტრიბუნა

## გარი ჩაფიძე: – შემოდგომის სილუეტები პოლონურ ჩანახატებში

კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალურ აკადემიაში, ჩემი ყოველწლიური ვიზიტის ფარგლებში, იქაურ პერსონალთან და დაუწრებელი სწავლების სპეციალობათა სტუდენტებთან სალექციო კურსის წაკითხვა და საქართველოდან, ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრიდან, უკრაინის ერთიან ეროვნულ ბაზაში ჩარიცხული სტუდენტების დოკუმენტაციის მოწესრიგება შედის, რომლის მიხედვითაც, ჩვენი, ქ. რუსთავის ცენტრი, ერთ-ერთი წარმატებულია იმ ორასზე მეტ წარმომადგენლობით საგანმანათლებლო სივრცეში, რომლებიც ქ. კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემიის სასწავლო ბადით ფუნქციონირებენ მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნებში, გარდა აღნიშნულისა, ჩემი დამოკიდებულება უკრაინელებისადმი, ის სიყვარული და ზენტში აყვანილი დამსახურებები, რომელსაც ამ სახელმწიფოდან ვღებულობ, უფლებას მაძლევს მეცნიერულ ბირთვთან არა მარტო კოლეგიალური, არამედ მეგობრული დამოკიდებულებაც მქონდეს, ამჯერადაც აკადემიის ტელე-უნივერსიტეტში „დუბლი-2“-ის ყოველწლიური კონკურსის ჟიურში მიმიწვიეს რექტორმა, აკადემიკოსმა ნიკალაი კურკომ, მულოდნელად მკითხა: – როგორა ხარ პოლონეთისადმი?! – ეს ის კაცია, რომელიც ტყუილა ჰაერში სიტყვებს არ ისვრის, ესე იგი რაღაც უნდა... – ძალზე სიმპატიურად! – მივუგე და დველოდე, როდის განაგრძობდა საუბარს – ასეც ვიცოდი! შენ და პროფესორი კლიმოვა უნდა გაემგზავროთ ქალაქ ლოძში! – ბოლო სიტყვა განსაკუთრებით დამარცვლით წარმოთქვა, თითქოს ჩემთვის უცნობ ქალაქზე მიმანიშნებდა, არადა ლოძი, 1998 წლიდან ქ. რუსთავთან დამეგობრებული ქალაქია და ჩემთვის ძალიან ახლობელია მისი ქუჩები. – რატომე მე?! – დავიბენი, – იმიტომ, რომ ქართულ-პოლონური ლექსიკონის პირველი და დღემდე ერთადერთი შემადგენელი ხარ და შენი დეტექტიური რომანიც – „ნეტავ მას ვინც ხვალ დაიბადება“, რომელიც პოლონურ ენაზე გამოვიდა, დიდ მოწონებას იმსახურებს... – მოულოდნელად თავზე წამოგვადგა აკადემიის საერთაშორისო საგანმანათლებლო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი პროფესორი ირინა კლიმოვა, რომელმაც ამ სიტყვების ჩარაკრაკების პარალელურად ბოკალი შავი მშრალი ღვინო შემოგვთავაზა და განაგრძო – საქართველოში პოლონური უნივერსიტეტის წარმომადგენლობის გახსნა იგეგმება მოფიქრების დრო აღარაა, ზეგ, ხუთშაბათს, ინსტიტუტის მანქანით მივემგზავრებით...

პოლონეთი, ანუ პოლონეთის რესპუბლიკა, როგორც მას ამჟამად ეწოდება ევროპის ცენტრში მდებარეობს, სადაც 312, 679 კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე 38 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს, რომელსაც უკრაინის გარდა, გერმანია, რუსეთი, ლიტვა, ბელორუსი, ჩეხეთი და სლოვაკეთი ესაზღვრება, ჩვენ ვარშავაში ვართ, აქედან ლოძამდე, რომელიც სამხრეთის მიმართულებით, ქვეყნების ცენტრში მდებარეობს 120 კილომეტრია, მისი სტატუსი 1423 წლიდან მოიხსენიება, ლოძი მეორე ქალაქი იყო პოლონეთში ვარშავის შემდეგ, ხოლო 2000 წლიდან ეს სტატუსი კრაკოვს დაუთმო, თუმდა საყურადღებოა, რომ 1945-1948 წლებში იგი პოლონეთის დედაქალაქის სახელითაა ცნობილი, დღეს აქ უამრავი ისტორიული ძეგლია, რომელთა შესახებაც განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სიამაყით მოგვითხრობს ქალაქის ხელმძღვანელი, ანუ როგორც მას აქ უწოდებენ პრეზიდენტი ჰანნა ზდანოვსკაია... „ჩვენ ქალაქ ლოძში, პომორსკას ქუჩის 6-ნომერში ვიმყოფებით, უშიშროების უნივერსიტეტში, ანუ როგორც აქაურები ამბობენ უმაღლეს სკოლაში, რექტორი ბატონი ზენონ გურნიაკი, თავის საქმეზე, თვის უნივერსიტეტზე, თავის პერსონალსა და სტუდენტებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება და უნიჭიერესი მეცნიერია, რომელიც მისთვის ჩვეული სიმპათიით გვღებულობს, გვაცნობს სასწავლო პროცესის მსვლელობას, ფაკულტეტებს, სპეციალობებს, სასწავლო ბადეს, პოლონურ კანონმდებლობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და განსაკუთრებული სიყვარული აღნიშნავს, რომ საქართველოში, კერძოდ კი ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში, მისი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლობის გახსნა, მეგობრობისა და სიამაყის ძირითადი გამოვლინებაა... უფრო მოგვიანებით, სადღესასწაულო ვახშამზე საჩუქრების ურთიერთისადმი გადაცემის პროცესში, როდესაც ჩემს მიერ გამოცემულ ქართულ-პოლონურ სასაუბროს დახედა, ყველას გასაგონად თქვა – განსაკუთრებით მინდა ამ ადამიანის სადღეგრძელო შევსვათ. ეს არის კაცი მომავლიდან! – და აღფრთოვანებულმა ისახსოვრა ჩემი ჩემი პოლონური დეტექტივი „ნეტავ მას, ვინც ხვალ დაიბადება!“ ეს იყო მერე... მანამდე კი, მანამდე... საზეიმო მიღების ფარგლებში ჩვენს სასწავლებელსა და ლოძის უშიშროების უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, ჩემმა უკრაინელმა თანხმლებმა კოლეგამ, პროფესორმა ირინა კლიმოვამ, ხმამაღლა გამოაცხადა – ამ ათიოდე წლის წინ, როდესაც საქართველოში ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში უკრაინის პერსონალთა მრთვის რეგიონალური აკადემიის წარმომადგენლობა გაიხსნა, ბატონმა გარიმ პირველმა აღმართა ქართული დროშა უკრაინის აკადემიის მეცნიერებათა ხეივანში, ახლა კი... აქ პოლონეთში, ქალაქ ლოძში უნდა შეასრულოს ეს საპატიო მისია! – ტაშის ქუხილით აღიმართა ჩვენი მშობლიური ქართული დროშა სხვა, იმ ქვეყნების დროშათა გვერდით, სადაც აღნიშნულ უნივერსიტეტს გახსნილი აქვს თავისი წარმომადგენლობები... ამ დროს ენით გამოუთქმელია სიამაყის გრძნობა... მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს, რუსთავს, აკადემიურ ქალაქს, კიდევ ერთი ევროპული უნივერსიტეტი შეემატა, თავისი საერთაშორისო სტატუსითა და აკრედიტაციით, რომლის მიერ გაცემულ დიპლომსაც მსოფლიო აღიარება გააჩნია!

# ეროვნული ღირებულებების კონკურსი და მე-20 სამეცნიერო კონფერენცია

ახლა, როცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სწავლების ორი მიმართულებიდან გარკვეული და ხაზგასმული უპირატესობა აკადემიურთან ერთად პროფესიულ განათლებასაც მიანიჭა, თვალშისაცემი გახდა დღეს არსებულ იმ პრიფესიულ კოლეჯთა მნიშვნელობა, რომლებიც ნოვატორ ადამიანთა ინიციატივით წლების წინ შეიქმნა, დღემდე უამრავი პროფესიული კადრი მოამზადა და დღესაც წარმატებით ართმევს თავს სადღეისო ამოცანათა შესრულებას. საქართველოში ერთ-ერთი ასეთია საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი თავისი 32 სასწავლო ცენტრით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ამ ობიექტების საკოორდინაციო ცენტრი რუსთავშია, სადაც უამრავი სტუდენტი სწავლობს და სადაც ყოველწლიურად იმართება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები. წელს ასეთი მე-20 სამეცნიერო კონფერენცია განსაკურებულად ჩატარდა, რაც ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ განაპირობა. მისი ჩატარება დაემთხვა სქართველოს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების ინიციატივით საქართველოში ჩატარებული შემოქმედებითი კონკურსის შედეგების გამოცხადებას. უფრო ზუსტად: მიმდინარე წელი ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 140-ე წლისთავია. ეს დიდი ეროვნული საზოგადოება, რომლის სათავეში ღვაწლმოსილი ქართველები იდგნენ, ნამდვილად იმსახურებს ხსოვნას და მარადიულ აღნიშვნას მათი სახელებისას, ვინც ქართველთა განათლება საუკუნენახევრის წინ ყველაზე მაღლა დააყენა. ასეთთა შორის იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი...





სამეცნიერო შემოქმედებითი კონკურსის სახელწოდება იყო – „ფიქრი ქართული, აზრი ქართული“. მასში მონაწილეობა საქართველოს ყველა კუთხის პედაგოგებმა მიიღეს და ჟიურის სახელზე აკადემიურ ქალაქში ასობით თემა გამოიგზავნა სვანეთიდან, აჭარიდან, იმერეთიდან, ქართლ-კახეთიდან, რაჭიდან... სპეციალურმა ჟიურიმ აკადემიკოს გარიჩაფიძის ხელმძღვანელობით გამარჯვებული თემების გამოსავლენად თვეზე მეტი იმუშავა და უნდა ითქვას, რომ მართლაც საოცარ შედეგებს მივაღწიეთ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის პედაგოგები, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თურმე რა მაღალი ეროვნული სულისკვეთებით ზრდიან და ასწავლიან მოსწავლეებს ეროვნული ფესვების სიძლიერეს, დღევანდელობას და რა დიდი რუდუნებით უნერგავენ თაობებს ეროვნული ფასეულობების სიყვარულს. წარმოდგენილი თემების უმეტესობა არა რეფერატი, არამედ სერიოზული კვლევა იყო და აშკრად გამოხატავდა ავტორის მაღალაკადემიურობას, ასევე ქვეყნისა და ერის სადღეისო პრობლემების მიმართ ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას.

სააქტო დარბაზში, სადაც ამ რეგიონებიდან ჩამობრძანებული პედაგოგები ისხდნენ, ბევრჯერ გაისმა ტაში და აპლოდისმენტები ახალგაზრდა თაობისა, რომლებიც თვალწინ ხედავდნენ დამსახურებულ ადამიანებს, მათ ღვაწლს და... თაობათა ეს შეხვედრა წინასწარ კარგად მოფიქრებული სცენარით დაიგეგმა, დადგა დრო, ცალ-ცალკე კი არა, თაობათა კავშირით ვატარებდეთ ღონისძიებებს, და ამჯერად. მართლაც ბარაქალა ამ საზოგადოების თავმჯდომარეს და ამ ღონისძიების ინიციატორს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს, მის მოადგილეს პროფესორი ლეილა გეგეშიძეს, გამგეობის ყველა წევრს, რომლებმაც ითავეს და გაუძღვნენ ამ რესპუბლიკურ ღონისძიებას ასეთი სასიკეთო შედეგებისათვის.

ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო და იაკობ გოგებაშვილის მედლით დააჯილდოვა ამირან ტორაძე და ლორიტა შონია. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად სასიამოვნო ფაქტის შესახებ. კონკურსის ერთ-ერთმა გულშემატკივარმა, გერმანიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ჯიმი ბედიანაშვილმა კონკურსის გამარჯვებულები საკუთარი ინიციატივით ფულადი პრემიით დააჯილდოვა და სოციალური ქსელით მიულოცა თითოეულს წარმატება.

სტუდენტთა მე-20 სამეცნიერო შემოქმედებითმა კონფერენციამ კი, რომელიც ასევე მასშტაბური იყო, კიდევ ერთხელ აჩვენა, რა საინტერესოდ და შინაარსიანად ისწავლება საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებში პროფესიული საგნები და რა შედეგები აქვთ ახალგაზრდებს სწავლაში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები: სალომე პატარაია – რუსთავიდან, მარიამ ქველაძე – ჭიათურიდან, მარიამ ბოჭორიშვილი – თერჯოლიდან, მაკა ჩხაიძე – ოზურგეთიდან, ნინო ისაკაძე – ტყიბულიდან, მარი კალანდაძე, სუსანა მამედოვა, რაილ გასანოვი, ლალი კილაძე, ნინო კაპანაძე, ანრი თოლომაშვილი, სალომე ლაბაძე, ცირა ლურსმანაშვილი, გულნაზ კურბანოვა, მარიამ ობოლაშვილი, აიგუნ ბაირამოვა, ვერიკო კუპრეიშვილი – რუსთავიდან, ქეთევან სარალიძე, თამარ თაბაგარი – ჭიათურიდან, თეონა ასპანიძე – მარნეულიდან, გვანცა კაპანაძე, ნესტან მაკარიძე – თერჯოლიდან, მარეხი ბრეგვაძე – ტყიბულიდან, თამარ სეფაშვილი – თელავიდან, ლია გოთუა – ოზურგეთიდან...

პედაგოგები: თ. ჩხეიძე, ნ. წიკლაური, მ. ქოჩიაშვილი, ქ. გეზელიშვილი, თ. ხომერიკი, ი. ცუცქირიძე, ჯ.ჯიშიაშვილი, ნ.კაკიაშვილი, თ. რუსიაშვილი, ქ. ცისკარაშვილი, ზ. ქსოვრელი, მ.ჩხაიძე, შ. ცერცვაძე, თ. თაბაგარი, ე. ტურვა, ი. ჯიხვაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ო. ხაზარაძე და სხვები ნამდვილად ამაყობენ თავიანთი სტუდენტებით და იმ გარემოთი, რომელშიც მუშაობენ.

მოთხოვნილება, პასუხისმგებლობა და ზომიერი სიმკაცრე – დიახ, ამ სასწავლებლის ფორმაცაა და შინაარსიც. რუსთავის სასწავლო ცენტრი არის იმისი ნიმუში, როგორი უნდა იყოს სასწავლო გარემო და როგორ უნდა ეჭიროთ ახალგაზრდებს თავი საგანმანათლებლო ობიექტში, რათა აქ მიღებული უნარ-ჩვევებით ქვეყნის ღირსეულ, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ ქვემო ქართლის გუბერნიის წამყვანი სპეციალისტი სოსო პირველი, საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ვლადიმერ დადვანი და სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის უკრაინიდან წვეული პირველი და დღემდე ერთადერთი უკრაინული კოსმეტოლოგიური კოლეჯის დირექტორი პროფესორი ტატიანა ბარჩუკოვი, რომელმაც სურვილი გამოთქვა, რომ აკადემიურ ქალაქში ერთ-ერთ კორპუსში გახსნას თავისი კოლეჯის ფილიალი. ისე რომ სასექტემბროდ, ახალი სასწავლო წლისათვის კიდე ერთი ახალი პროფესიული ფაკულტეტი შეემატება აკადემიური ქალაქის რუსთავის სასწავლო ცენტრს.

ღონისძიება დამთავრდა, ღონისძიება გრძელდებ ახალ საინტერესო სიახლეთა მოლოდინით.

**ლია მარტაშვილი**
ინსტიტუტის პრეს. ცენტრის ხელმძღვანელი

# ინფორმაცია

ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე აკადემიკოსი გარი ჩაფიძე სამეცნიერო შეხვედრებს მართავდა ევროპის ქვეყნებში, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში იგი ეწვია ბელორუსს, მოლდოვას, უკრაინასა და პოლონეთს, სადაც ხელი მოაწერა მთელ რიგ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საკითხების ხელშეკრულებებს, ერთ-ერთი მთავარი კი, ამ მისიაში, ჩვენი ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრების კურსდამთავრებულთა კიევის პერსონალთა მართვის აკადემიაში შესაბამისი სპეციალობის მესამე კურსიდან სწავლის გაგრძელებაა – დაუსწრებელ განყოფილებაზე, საყურადღებოა, რომ ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, თავისი სასწავლო ცენტრებით, დიდი ხანია საკუთარი ხელწერის, არაფორმალური პროფესიული განათლების ფლაგმანად იქცა, რომელმაც არსებულ რეგიონალურ წარმომადგენლობებს კიდევ დაამატა: ანაკლიის, მარტვილის, დმანისის, სენაკის, ხონის, ქარელის, გორის, ვაზიანის, ხარაგაულის, ბოლნისის, წალკის, თეთრი წყაროს, ლენტეხის, ახალციხის, ბორჯომის სასწავლო ცენტრები, დევიზი: – „წარმატება პრივილეგია კი არა, – პასუხისმგებლობაა!“ – ჩვენთვის უცვლელია!



სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369
9 772298 036009

# ქ. ლოძის (პოლონეთი) უსაფრთხოების უმაღლესი სკოლა გიწვევთ სასწავლებლად 2019-2020 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში



- შიდა აუდიტი
- საფინანსო-ეკონომიკური უსაფრთხოება
- ორგანიზაციის მართვის უსაფრთხოება
- შინაგანი უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება
- კრიზისული სიტუაციების ფსიქოლოგია
- ტურიზმისა და რეკრიაციის უსაფრთხოება
- საერთაშორისო ურთიერთობათა უსაფრთხოება
- კიბერუსაფრთხოება
- დეტექტივისტი და კრიმინოლოგია



**სასწავლებელი აკრედიტირებულია!**
**ჩარიცხვა ეროვნული გამოცდების გარეშე!**

მისამართი: ქ. რუსთავი; შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი) კორპუსი 8; (ქ. რუსთავის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი) ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00 25-37-00; 25-39-00; 22-77-77

**კურსდამთავრებულთათვის გაიცემა პოლონეთის სახელმწიფო დიპლომი!**


# ბავშვთა დღის ცენტრი

ამ დღეებში ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის ბავშვთა დღის ცენტრის „კოლორიტი 1991“ და შშმ ბავშვთა ცენტრ „ფოთოლცვენა 2002“-ის (ხელმძღვანელი პროფესორი გარი ჩაფიძე) ბენეფიციარებმა და მათმა მშობლებმა პედაგოგების მ.გოგობერიშვილის, მ.ქებაძის, მ.მათიაშვილის მხარდაჭერითა და ცენტრის ხელმძღვანელის სრული დაფინანსებით, მართლაც და საინტერესო ექსკურსია მოაწყვეს უძველეს სატახტო ქალაქ მცხეთაში, იქ ნანახით მინიჭებული სიხარული და დამატებით მიღებული ცოდნა, ჩვენი სამშობლოს სიდიადის ქვაკუთხედს რომ კრავს, ცალკე სასაუბრო თემაა, თუმცა ის, რომ დღის ცენტრის მიზანი, სოციალურად დაუცველი ბავშვების ოჯახების გაძლიერება, მათი ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა და ინსტიტუციებში განთავსების პრევენცია, საზოგადოებასთან ინტეგრაციის აუცილებელზე – აუცილებელი პირობაა, ამაზე დისკუსიაც წარმოუდგენელია, დიახ „კოლორიტი 1991“-ში 6-18 წლამდე ასაკის ბავშვებს საშუალება აქვთ თავისუფალი დრო დაცულ და მეგობრულ გარემოში გაატარონ და ჩაერთონ სხვადასხვა გასართობ-შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობებში, ბავშვებთან მუშაობენ კვალიფიციური პედაგოგები და ფსიქოლოგები, აქ ბავშვები იღებენ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას... თითოეული მათგანი სადილობს და ვახშმობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით გაჯერებული კერძებით, რომელიც სამ-ოთხ კომპონენტიანია და ბენეფიციარის სურვილს მორგებული. დღის ცენტრში განსაკუთრებული ყურადღეა ეთმობა ბავშვების განათლებას, პედაგოგები, როგორც წესი, მათ სასკოლო დავალებების მომზადებაში ეხმარებიან, დამატებით უტარდებათ ინგლისური, რუსული, არჩევით ნებისმიერი საგნისა და ქართული ენის გაკვეთილები, ეუფლებიან კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს. აგრეთვე ჩართულები არიან ცეკვის, სიმღერის, თეატრის, სპორტულ წრეებში. უფრო მეტიც, დღის ცენტრის „კოლორიტი 1991“-ის ეგიდით, ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში, სადაც ჩვენი ცენტრია განთავსებული, გვსურს 2020 წელს ჩავატაროთ ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომლის მონაწილედ, უკვე დარეგისტრირდა ჩეხეთის, უკრაინის, მოლდოვას და ბელორუსის წარმომადგენლობითი დელეგაციები, ჩვენს ბენეფიციარებს საშუალება აქვთ უფასო სექტორზე ჩარიცხვით დაეუფლონ აკადემიურ ქალაქში არსებული არაფორმალური პროფესიული



განათლების სასწავლო ცენტრის დღევანდელი დღის რეალობას მორგებულ, მეტად საჭირო პროფესიებს. მიღებული ცოდნა კი ბავშვებს მომავალში შეუძლიათ პრესტიჟულ სამსახურებში გამოიყენონ, 16-18 წლამდე მოზარდები უკვე ემზადებიან სხვადასხვა პოზიციებზე დასაქმებისათვის... ადამიანის აღზრდა ყველაზე საპატიო, ყველაზე პრესტიჟული, ყველაზე საამაყო საქმიანობაა, ამიტომაც ჩვენი დღის ცენტრი ყოველთვის მოწინავეთა ფლაგმანი იქნება სასიკეთო წამოწყებათა განსახორციელებლად.

# სკოლა და ცხოვრება ჟურნალის ახალი ნომერი განათლების მუშაკებისათვის

გამოვიდა საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების“ მორიგი ახალი ნომერი, რომლის რედკოლეგიამ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო სიახლეების და მოსალოდნელი რეფორმების ჟამს მისადაგებული თემები შეარჩია მკითხველთა ფართო წრისათვის.




კერძოდ, ჟურნალში დაეცნობით: ინფორმაციებს უკრაინაში ჩატარებული საერთაშორისო-სამეცნიერო პედაგოგური სიმპოზიუმისას, პედაგოგთა საერთაშორისო კონფერენციისას და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის დელეგაციებს საბერძნეთის რესპუბლიკაში სტუმრობის შესახებ, რომლის ავტორები არიან ჟურნალის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი გარი ჩაფიძე და ჟურნალისტი ლია მარტაშვილი.

ჟურნალში დაბეჭდილია თბილისის 140-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ცირა ბორცვაძის სტატია „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ“, ეთერ აბულაძის, ხულოს რაიონის ტუნაძეების საჯარო სკოლის პედაგოგის სტატია „როგორ ვახდენთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებას“, სიღნაღის რაიონის ნუკრიანის საჯარო სკოლის პედაგოგის ლია ნადირაშვილის მასალა სათაურით „დედაენის გზა“, პედაგოგების ქრისტინე გეზელიშვილის, მანანა კაკალაშვილის, პროფესსორ ნოდარ ბასილაძის, აგრეთვე ნარგიზ ბაღიშვილის, მარიამ კუკულაძის, ლორეტა შონიას, მაია დუმბაძის, ნინო მიქავას ლიტერატურულ მეთოდური შინაარსის მასალების, ჟურნალში დაბეჭდილია ვრცელი მასალა ზესტაფონის რაიონის სოფელ წევას 91 წლის ღვაწლმოსილ, ამჟამადაც მოქმედ გეორგრაფიის მასწავლებელ ელენე ხუსკივაძეზე.

ფრიად საინტერესოა შემეცნებითი ხასიათის მასალები მაია დუმბაძის, ქალაქ ბათუმის სკოლას „გორდას“ პედაგოგის ნაშრომი „გველეშაპის მლახვრელი წმინდა გიორგი“ და ნინო მიქავას, წალენჯიხის სოფელ მიქავას საჯარო სკოლის პედაგოგის მასალა „ივანე მამაცაშვილის ლიტერატურული სალონი“.

და ბოლოს, ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 140-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ქალაქ თბილისის ნიჭიერთა სკოლა-აკადემიის პედაგოგის ლორეტა შონიას მეცნიერული კვლევა „აზრი ქართული ფიქრი ქართული“.

წაიკითხეთ იმ ჟურნალის ახალი ნომერი, რომლის არსებობის ისტორია ლამის საუკუნეს ითვლის (იგი გამოდის 1924 წლიდან).


## საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი

აცხადებს მიღებას გასაუბრების საფუძველზე
IX და XII - კლასდამთავრებულთათვის
ასევე მიიღებიან X, XI, XII - კლასის
მოსწავლეები სკოლისაგან მოუწყვეტლივ:

- ბუღალტერია და ფინანსები
- ბიზნესის მართვა
- დეტექტივი და კრიმინალისტიკა
- ტურიზმი და რეკრეაცია
- აგროტურიზმი

ს წ ა ვ ლ ე ბ ა ს ა მ წ ლ ი ა ნ ი ა!

სასწავლო გადასახადი წელიწადში 900-ლარი! კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან, დიპლომს! რომლითაც შეუძლიათ უგამოცდოდ ჩაირიცხონ ქ. ლოძის (პოლონეთი) უშიშროების უმაღლეს სკოლაში, დაუსწრებელ განყოფილებაზე. მისამართი: ქ.რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5; ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00;

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო
ევრო აკრედიტაციის მფლობელი

